



#10 (31), დეკემბერი, 2009

**იურიდიული დახმარების
კლინიკა**

სამოქალაქო საზოგადოების
ინსტიტუტში შეიქმნა იურიდიული
დახმარების კლინიკა, რომლის მიზანია
სოციალურ სფეროზე
ორიენტირებული საზოგადოებრივი
ორგანიზაციებისთვის იურიდიული
მომსახურება.

**კლინიკაში იურიდიული მომსახურება
უფასოა და მოიცავს:**

- იურიდიულ კონსულტაციას;
- სამართლებრივი
დოკუმენტების მომზადებას;
- განსაკუთრებულ შემთხვევებში
წარმომადგენლობას
ადმინისტრაციულ
ორგანოებში და
სასამართლოში.

კლინიკის საქმიანობის ფორმები

- სატელეფონო კონსულტაცია;
- პირადი კონსულტაცია;
- გასვლითი იურიდიული
კონსულტაცია (რეგიონებში);
- [ონლაინ კონსულტაცია.](#)

თბილისი 0171

26 მაისის მოედანი 2, V სართული

ტელ: (995 32) 94 16 05

ფაქს: (995 32) 33 04 17

ელ-ფოსტა: legalclinic@civilin.org

ვებ-გვერდი: www.civilin.org/welfare

ყოველთვიურ ელექტრონულ
გამოცემას ამზადებს
სამოქალაქო საზოგადოების
ინსტიტუტი

ვებ-გვერდი: www.civilin.org



სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი
ვილოცავთ დამდეგ
შობა-ახალ წელს



„შემა ქალა“



ასე ჰქვია ბევრისთვის უცნობ ქართულ ხალხურ ზღაპარს, რომელიც ერთი ცოლ-ქმრისა და მათი შვილის შემა-ქალას ამბავს გვიამბობს, გვიამბობს იმას თუ როგორ დაძლია სიძნელე შემა-ქალამ და ბედნიერებას ეწვია... «არტიისტი ყვალილები» – ასე ჰქვია პროექტს, რომლის ფარგლებშიც თითქმის უცნობი ქართული ზღაპარი წიგნადაც გამოიცა და სპექტაკლიც დაიდგა. პროექტი ჰოლანდიის სამეფოს საელჩოს ფინანსური მხარდაჭერით სილნადის რეგიონის სოციალურად უმწეოთა თერაპიის კავშირმა თემა «ქედელმა» განახორციელა, მისი მიზანი შშმ პირთა სოციალური ინტეგრაციის ხელშეწყობა გახლდა. 2009 წლის აგვისტოში შეიქმნა ინკლუზიური ჯგუფი, რომლის წევრებიც გახდნენ: თემი «ქედელის» მაცხოვრებლები – 10 შშმ პირი და მათი «პარტნიორები» – სილნადის საჯარო სკოლის 20 მოსწავლე. «ქედელის» მაცხოვრებლები მოუთმენლად და სიხარულით ელოდნენ ყოველი კვირა დღის დადგომას. საჯარო სკოლის მოსწავლეები თავდაპირველად მორიდებით, შემდეგ კი სიხარულით იღებდნენ მასპინძლების გულთბილ შეხვედრას. ყოველ კვირას ერთად ,

ხატავდნენ, იღებდნენ ფოტოებს, დეკორატიულ ხელოვნებაშიც ერთად ცდიდნენ ძალებს, თამაშობდნენ, სეირნობდნენ. მათ ერთად დაასურათეს ქართული ხალხური ზღაპარი «შემა-ქალა», რომელიც ინგლისურადაც ითარგმნა და როგორც ქართული, ასევე ინგლისური ვერსიაც დაისტამბა. წიგნი საჩუქრად გადაეცემათ სილნადის რაიონის საჯარო სკოლებს, რაიონულ ბიბლიოთეკებს და ბავშვთა სპეციალიზირებულ სახლებს, ნაწილი კი საქველმოქმედო ხასიათისაა. «ეს მშვენიერი ქართული ზღაპარი არის მცირე საჩუქარი და დიდი მადლობა საზოგადოების იმ ნაწილს, რომელმაც ხელი შეუწყო «ქედელის» ბინადრებს პირადი ღირსების განცდის, საკუთარი თავის რეალიზაციასა და საზოგადოებაში ინტეგრაციის კუთხით», ასეთი მინაწერი აქვს ზღაპარს. მათ ვისაც სურვილი აქვს წიგნი შეიძინოს და თავისი წვლილი შეიტანოს ქველმოქმედებაში შეუძლიათ დაუკავშირდნენ თემ «ქედელს» და შეიძინონ ზღაპარი, მისი ელექტრონული მისამართია: signagi@heim.ge ინკლუზიური ჯგუფის წევრებმა ამავე ზღაპრის გმირები სცენაზე გააცოცხლეს – სილნადის თეატრის სცენაზე ჯგუფის ყველა წევრმა,

ერთი მოხერხებული მეთოდით – დუეტში, პარტნიორის თანხლებით ითამაშეს სპექტაკლი, რომელსაც თეატრის სავსე დარბაზში სულგანაბული და კმაყოფილი პუბლიკა უყურებდა. სპექტაკლის შემდეგ გაიმართა თემი «ქედელის» და მისი მაცხოვრებლების შესახებ დოკუმენტური ფილმის პრემიერა, ბოლოს კი, სილნადის საჯარო სკოლის მოსწავლეებისა და «ქედელის» მაცხოვრებლების ნამუშევრების გამოფენა-გაყიდვა მოეწყო.

- ეს დღე – 15 დეკემბერი და მთლიანად პროექტის ფარგლებში გატარებული დრო ალბათ, დიდხანს დაამახსოვრდებათ ინკლუზიური ჯგუფის წევრებს, ამას მათი ჩანაწერებიც მოწმობს
- «ქედელში» აღმოვაჩინე ჩემი თავი (ბევრი დადებითი და უარყოფითი მხარე), ვისწავლე ურთიერთობა განსხვავებულ ადამიანებთან, მათთან ერთად შრომა და დახმარება»
12 წლის მარი
- «არასოდეს შეხედოთ სხვანაირად იმ ადამიანებს, რომლებსაც არ შეუძლიათ ჩვენნაირად ისწავლონ და გააკეთონ საქმე»
14 წლის ანა
- «ადამიანები ისე გვიყურებდნენ როგორც უცხო პლანეტელებს... ზავშვებმა თავი ჩვენს და-ძმად უნდა წარმოიდგინონ. ადამიანებს კი ვურჩევ ისე გვიყურონ როგორც თავის შვილებს».
25 წლის გვანცა
- «მეგონა რომ მათ არაფერი შეეძლოთ, მაგრამ გამოჩნდა რომ მართლა ბევრი რამ შეუძლიათ. მე ამით ძალიან გაცივებული და გახარებული ვარ»
8 წლის თამუნა
- «ქედელის» მაცხოვრებლები ძალიან თბილი, პირდაპირი და კეთილი ადამიანები არიან»
9 წლის თამუნა
- «ქედელის» წევრებს ჩემს თანასწორებად ვუყურებ, მათ მასწავლეს დიდი სიყვარული, მე ისინი ძალიან შემიყვარდა»
11 წლის თაკო
- «მე არ ვიცი, რომ «ქედელის» წევრები ამდენ რამეს შეძლებდნენ, ვაპირებ მომავალში მათთან ერთად გავაგრძელო მუშაობა»
9 წლის ნათია





კონკურსი

ვიზრუნოთ ერთმანეთზე – 2009

დასრულდა სოციალურ საკითხებზე მომუშავე ჟურნალისტთა კონკურსში მონაწილეობის მსურველთა მასალების მიღება. კონკურსი ყოველწლიურია და სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი წელს მას მესამედ ატარებს. მისი მიზანია სოციალური საკითხების გაშუქების ხელშეწყობა და პოპულარიზაცია. წელს საკონკურსო მასალები 60-მდე ტელე, რადიო თუ პრესის ჟურნალისტმა და ფოტოხელოვანმა შემოიტანა. კონკურსის შედეგები ცნობილი იანვრის ბოლოს, ჟიურის გადაწყვეტილების შემდეგ გახდება ცნობილი. ჟიურის შემადგენლობა: ვაჟა სალამაძე, ლიკა ჩახუნაშვილი, ზვიად ქორიძე, დავით პაიჭაძე, სოსო სიმონიშვილი, გურამ წიბახაშვილი

გამოცემები



ალმანახი ვიზრუნოთ ერთმანეთზე

გამოვიდა ალმანახის შემდეგი ნომერი, რომელსაც სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი, გერმანული ფონდის EED-ის ფინანსური მხარდაჭერით, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისთვის საარსებო გარემოს გაუმჯობესების პროექტის ფარგლებში უშვებს. მორიგ ნომერში

გაეცნობით სოციალური სფეროს სიახლეებს, ანალიტიკას, იდეებს და კონცეფციებს, ინფორმაციას ამ სფეროში მოღვაწე საზოგადოებრივ ორგანიზაციებზე, მათი საქმიანობის საინფორმაციო მხარდაჭერას, რაც დაეხმარება ამ ორგანიზაციებს გაძლიერებასა და ეფექტურობის გაზრდაში... ჩაერთეთ ალმანახის მუშაობაში, მოგვაწოდეთ თქვენი ინფორმაციები და იდეები, ერთად ვიზრუნოთ ალმანახის განვითარებაზე და, რა თქმა უნდა... ერთმანეთზე

მოკლედ

• 1992 წლიდან მოყოლებული მსოფლიო თანამეგობრობა 3 დეკემბერს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საერთაშორისო დღეს აღნიშნავს. ამ დღემ მიეძღვნა 3 დეკემბერს კოალიციის დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის – ინიციატივით სასტუმრო რედისონში კონფერენცია, რომელსაც საერთაშორისო, ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ხელისუფლების წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

• 3 დეკემბერს ფილარმონიის საკონცერტო დარბაზის ფოიეში გაიმართა ახალგაზრდა ფოტოხელოვანის ანა გოგუაძის ფოტოების გამოფენა. კომპანია ჯეოსელის სოციალური აქციაზე გამოტანილ ცნობილი ქალბატონების 21 ფოტოს ერთი რამ – ეტლი აერთიანებს.

• *თქვენ ყოველთვიურად ეცნობით სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტის მიერ, სოციალურ სფეროზე ორიენტირებული საზოგადოებრივი ორგანიზაციების გარემოს გაუმჯობესების პროექტის ფარგლებში, მომზადებულ ელექტრონულ საინფორმაციო ბიულეტენს. ბიულეტენი თქვენთვის იქმნება და თქვენს სამსახურშია, მოგვწერეთ თქვენი წინადადებები. ელ-ფოსტა: welfare@civilin.org ბიულეტენის ერთ-ერთი მთავარი თემა თქვენი საქმიანობა და ღონისძიებებია. მოგვწერეთ, მოგვაწოდეთ ინფორმაცია ღონისძიებების შესახებ, ჩვენ კი გთავაზობთ: ღონისძიების ანონსის გავრცელებას ელექტრონული ფოსტით, ღონისძიების გაშუქებას საინფორმაციო ელექტრონული ბიულეტენის საშუალებით. მოგვაწოდეთ ინფორმაცია თქვენი გამოცემების შესახებ და ჩვენ განვათავსებთ მათ პროექტის ვებ-გვერდზე: <http://www.civilin.org/welfare> მოგვაწოდეთ ინფორმაცია იმ პროდუქციის შესახებ, რომელსაც აწარმოებთ სოციალურ სფეროზე ორიენტირებულ საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან არსებულ სახელოსნოებში, მათ განვათავსებთ პროექტის ვებ-გვერდზე: <http://www.civilin.org/welfare> ნუ გაუშვებთ შესაძლებლობას გაეცნოთ და გაგიცნონ*



საშობაო გამოფენა–გაყიდვა

ყოველი წლის დეკემბერში სოციალური თერაპიის სახლი, საშობაოდ, იმ ნივთების გამოფენა–გაყიდვას აწყობს, რომელსაც თერაპიის სახლის ბენეფიციარები ამზადებენ. თერაპიის სახლი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოზრდილებს ემსახურება. ისინი ყოველ დღე (შაბათ–კვირის გარდა) დადიან, როგორც თავად უწოდებენ. «სახლში» და მასთან არსებულ სახელოსნოებში, თერაპიის ფარგლებში, ულამაზეს ნივთებს ქმნიან – მუშაობენ სახელოსნოებში, თანაც ყველა სრულფასოვან მონაწილეობას იღებს. სანთლები, მძივები, თექის ყელსაბამები, ფარდაგები... უამრავი ლამაზი ნივთი მათი მონაწილეობით შეიქმნა. სწორედ ამ ნივთების გამოფენა–გაყიდვა მოეწყო 10–11 დეკემბერს თერაპიის სახლში. უკვე ტრადიციად ქცეული ღონისძიებიდან შემოსული თანხა ახალი ნივთების დასამზადებლად წარიმართება.

გამოცემები



7 დეკემბერს, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს საკონფერენციო დარბაზში, გაიმართა ბავშვზე ზრუნვის მომსახურებათა რუქისა და ბავშვზე ზრუნვის სფეროში სოციალური მომსახურების გზამკვლევის პრეზენტაცია. ორივე გამოცემა ევროკავშირის ბავშვთა კეთილდღეობის რეფორმის ხელშეწყობის პროექტის ფარგლებში მომზადდა.

✓ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 9 დეკემბრის #218 დადგენილებით განისაზღვრა „სიღარიბის ზღვარს ქვემო მყოფი მოსახლეობის“, „სახალხო არტისტების, სახალხო მხატვრებისა და რუსთაველის პრემიის ლაურეატების ჯანმრთელობის დაზღვევის“, „კომპაქტურ დასახლებებში მყოფ იძულებით გადაადგილებულ პირთა სამედიცინო დაზღვევის“, „მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა სამედიცინო დაზღვევის“ პირობები.

დადგენილება იხილეთ <http://www.civilin.org/welfare>

✓ 2009 წლის 14–18 დეკემბრის სასესიო კვირაში საქართველოს პარლამენტმა მესამე მოსმენით მიიღო ცვლილებები საქართველოს კანონში „შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ“.

✓ 2009 წლის 14–18 დეკემბრის სასესიო კვირაში საქართველოს პარლამენტმა მესამე მოსმენით მიიღო ცვლილებები საქართველოს კანონში „სოციალური დახმარების შესახებ“.